

# შეიტყვეთ მეტი Qualcomm-ის პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების შესახებ

Qualcomm Incorporated-ის შვილობილი კომპანიები გთავაზობთ სხვადასხვა პროგრამებს, აპლიკაციებსა და სერვისებს, რომლებიც დაგეხმარებათ მობილური მოწყობილობის მუშაობის ხარისხის ამაღლებაში, კვების ელემენტის შენარჩუნებასა და მოწყობილობის უსაფრთხოების გაუმჯობესებაში. ამ პროგრამული უზრუნველყოფის აპლიკაციებს შორის არის შემდეგი:

## Qualcomm Location

Qualcomm Location (ყოფილი „IZat“) არის ტექნოლოგია, რომელიც შემოთავაზებულია აშშ-ში Qualcomm Technologies, Inc.-ის მიერ, ევროპის ეკონომიკური ზონის ფარგლებში მდებარე ქვეყნებში - QT Technologies Ireland Limited-ის მიერ და კორეის რესპუბლიკაში (იგივე სამხრეთი კორეა) Qualcomm CDMA Technologies (Korea) YH-ის მიერ. Qualcomm Location-მა შესაძლოა ჩართოს თქვენი მოწყობილობა, რათა უფრო სწრაფად და ზუსტად განსაზღვროს მისი მდებარეობა, მაშინაც კი, როცა მოწყობილობას არ შეუძლია ძლიერი GPS სიგნალის მიღება. Qualcomm Location შესაძლოა ასევე დაეხმაროს თქვენს მოწყობილობას ელემენტის ენერჯის შენარჩუნებაში, როცა ისეთ აპლიკაციებსა თუ სერვისებს იყენებთ, რომლებიც მდებარეობის მონაცემებს მოითხოვს. თუ იყენებთ აპლიკაციებს, რომლებშიც ჩართულია მდებარეობა, თქვენმა მოწყობილობამ შესაძლოა გაუგზავნოს თავისი მდებარეობა მსგავსი აპლიკაციის პროვაიდერებს. აპლიკაციის პროვაიდერებისათვის მიწოდებული მდებარეობის ინფორმაცია რეგულირდება მათი წესებითა და კონფიდენციალურობის პოლიტიკით. გირჩევთ, იხილოთ შესაბამისი აპლიკაციის პროვაიდერების წესები და კონფიდენციალურობის პოლიტიკა.

Qualcomm Location პერიოდულად ახდენს ახლომდებარე ფიჭური სადგურებისა და Wi-Fi წვდომის წერტილების შესახებ მონაცემების ჩამოტვირთვას თქვენს მოწყობილობაში. ეს მონაცემები შესაძლოა გაერთიანებული იქნეს იმ მონაცემებთან, რომლებიც მიღებულია თქვენს მოწყობილობაში არსებული სენსორებიდან, როგორცაა გიროსკოპი ან აქსელერატორი, რათა დაეხმაროს მოწყობილობას მისი მდებარეობის განსაზღვრასა და ელემენტის ენერჯის შენარჩუნებაში.

Qualcomm Location პერიოდულად გვიგზავნის პროგრამული უზრუნველყოფის უნიკალურ ID-ს, თქვენი მოწყობილობის მდებარეობას (გრძედს, განედს, სიმაღლეს და მის ცვალებადობას), ახლომდებარე ფიჭურ სადგურებსა და Wi-Fi წვდომის წერტილებს, სიგნალის სიძლიერეს და დროს (ერთობლივად „მდებარეობის მონაცემები“). როგორც ყველა ინტერნეტ კომუნიკაციის დროს, ჩვენ ასევე ვიღებთ თქვენი მოწყობილობის მიერ გამოყენებულ IP მისამართს. ჩვენ ვიყენებთ

მდებარეობის მონაცემებს, პროგრამული უზრუნველყოფის ID-ებსა და IP მისამართებს და სხვა მონაცემებს, რომლებსაც ვაგროვებთ ჩვენი სისტემების დაცვის, შეფასებისა და მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებისთვის.

ჩვენ მიერ შეგროვებულ მონაცემთა დასაცავად Qualcomm Location იყენებს უსაფრთხოების სხვადასხვა გონივრულ და შესაბამის ზომას. ამას გარდა, ჩვენ სამუდამოდ არ ვინახავთ მდებარეობის მონაცემებს თქვენი პროგრამული უზრუნველყოფის ID-სა თუ IP მისამართთან ერთად და არც Qualcomm Location-ის მომხმარებელთა პირად იდენტიფიცირებას ვცდილობთ. სისტემის მუშაობის ხარისხის გასაუმჯობესებლად თქვენი პროგრამული უზრუნველყოფის ID და IP მისამართი დაუკავშირდება თქვენს მდებარეობის მონაცემებს მიღებიდან ოცდაათი დღის განმავლობაში, რის შემდეგაც სამუდამოდ წაიშლება. IP მისამართებისა და პროგრამული უზრუნველყოფის ID-ების წაშლის შემდეგ ჩვენ ვაერთიანებთ მდებარეობის მონაცემებს, რათა შევქმნათ ანონიმური მონაცემთა ბაზა ფიჭური სადგურებისა და WiFi წვდომის წერტილების მდებარეობების შესახებ.

თუ კორეის რესპუბლიკაში იმყოფებით, Qualcomm Location-ის სერვისი შეესაბამება მდებარეობის ინფორმაციის დაცვის აქტს (“აქტი”) და თქვენ სარგებლობთ ამ აქტის შესაბამისი უფლებებით. კორეაში ჩვენი საქმიანობის სმსახებ შეკითხვებისა თუ კომენტარებისათვის გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ მისამართზე:

Qualcomm CDMA Technologies (Korea) YH  
ყურადღების იურიდიული განყოფილება  
მე-4, მე-15, მე-16 და მე-17 სართ.  
119, Nonhyeon-dong, Gangnam-gu  
Seoul 135-820  
Republic of Korea  
ტელეფონის ნომერი: 82-2-3404-1114

### **Qualcomm Technology Reporting (QTR) -- დიაგნოსტიკური სტატისტიკა**

QTR არის ტექნოლოგია, რომელსაც გთავაზობთ Qualcomm Technologies, Inc. აშშ-ში და QT Technologies Ireland Limited ევროპის ეკონომიკურ ზონაში. QTR-მ შესაძლოა შეაგროვოს: (i) მოწყობილობაში დაინსტალირებული და/ან გაშვებული აპების სახელწოდებები, (ii) კონფიგურაციის ინფორმაცია (როგორცაა მარკა, მოდელი, ოპერაციული სისტემა და ვერსია, მიკროპროგრამა და ვერსიები, უსადენო ოპერატორი, მობილური ქვეყნის კოდი და ქსელის კოდი და ჩიპსეტის სერიული ნომერი (რომელიც არ ახდენს თქვენს იდენტიფიცირებას)), (iii) მოწყობილობის მუშაობის ხარისხისა და უსაფრთხოების სტატისტიკა (როგორცაა CPU, GPU ან მოდემის მუშაობის ხარისხი) და (iv) სენსორის მონაცემები, რაც არ მოახდენს თქვენს

იდენტიფიცირებას, მაგრამ გაზომავს ტელეფონის ირგვლივ მოძრაობას, ორიენტაციასა და გარემო პირობებს. მონაცემები აიტვირთება დაშიფრული WiFi-ის საშუალებით ან, შეზღუდული რაოდენობით, თქვენი ფიჭური ქსელით.

QTR-ის მიერ შეგროვებულ მონაცემებს ვიყენებთ ამ დებულებაში აღწერილი მიზნებისთვის, მათ შორის იმისათვის, რომ დაგვეხმაროს მომავალი თაობის მობილური ტექნოლოგიების განვითარებაში, უსადენო მუშაობის ხარისხის გასაუმჯობესებლად, ელემენტის ენერჯის შესანარჩუნებლად, უსაფრთხოების ზომების გასავითარებლად და ჩვენი საქმიანი ოპერაციების გასაუმჯობესებლად. QTR მონაცემები შეგვიძლია ასევე გავუზიაროთ უსადენო ოპერატორებს ან მოწყობილობის მწარმოებლებს, რათა დაგვეხმაროთ უსადენო მოწყობილობების, ქსელებისა და უსაფრთხოების გაუმჯობესებაში.

QTR იძლევა მონაცემთა შეგროვების გაუქმების საშუალებას Android-ის პარამეტრების მენიუში შემდეგი სახელწოდების ქვეშ: „Qualcomm Technologies Reporting“. გაუქმება არ მოახდენს თქვენი მოწყობილობის მუშაობის ხარისხზე უარყოფით გავლენას.

რამდენიმე შენიშვნა: როგორც ყველა ინტერნეტ კავშირის დროს, ჩვენ მივიღებთ მოწყობილობის მიერ გამოყენებულ IP მისამართს, მაგრამ მიღებისთანავე ვშლით მას. თუ QTR გამოგვიგზავნის რომელიმე ისეთ მონაცემს, რომელიც არ არის ამ კონფიდენციალურობის პოლიტიკაში იდენტიფიცირებული, რაც შეიძლება წარმოადგენდეს პერსონალურ მონაცემებს, ჩვენ მას მიღებისთანავე წავშლით. QTR-ის ზოგიერთ ვერსიას აქვს ასევე მოწყობილობის მობილური აღჭურვილობის საერთაშორისო იდენტიფიკატორის (IMEI) შეგროვების უნარი, მაგრამ აღნიშნული უნარი ამჟამად არ გამოიყენება. მომავალში, თუ IMEI-ს შევავროვებთ, მისი შეგროვება მოხდება გაცხადებული, აუცილებელი მიზნებისთვის და მონაცემთა დაცვისა და კონფიდენციალურობის ყველა მოქმედი კანონის შესაბამისად. და ბოლოს, QTR-ის ზოგიერთი ვერსია საშუალებას გაძლევთ აირჩიოთ თქვენი მოწყობილობის მდებარეობის მონაცემების ჩვენთვის გამოგზავნა. თუ აირჩევთ მდებარეობის მონაცემების ჩვენთვის გამოგზავნას, შესაძლოა პერიოდულად შევავროვოთ თქვენი მოწყობილობის მდებარეობა, რაც დაგვეხმარება, მაგალითად, უსადენო სიგნალის სუსტი დაფარვის ზონების იდენტიფიცირებაში.

### **Snapdragon Smart Protect**

Qualcomm® Snapdragon™ Smart Protect არის უსაფრთხოების პროგრამული უზრუნველყოფის სერვისი Android-ზე დაფუძნებული მოწყობილობებისთვის („Smart Protect“), რომელიც წარმოდგენილია QT Technologies Ireland Limited-ის მიერ ევროპის ეკონომიკურ ზონაში და Qualcomm Technologies, Inc.-ის მიერ აშშ-ში. Smart Protect აკონტროლებს Android აპლიკაციების მოქმედებას იმ მოწყობილობაზე, რომელზეც

დაინსტალირებულია და იყენებს მანქანურ შესწავლას, რათა მოახდინოს მავნე, ჯაშუშურ, სარეკლამო და თაღლითურ პროგრამებზე პოტენციურად მიმანიშნებელი ქცევების იდენტიფიცირება. Smart Protect ამგვარი ქცევის შესახებ აუწყებს იმავე მოწყობილობაზე დაინსტალირებულ, ჩვენი კლიენტის მესამე მხარის უსაფრთხოების აპლიკაციებს.

Smart Protect-ისა და ამ კონფიდენციალურობის პოლიტიკაში აღწერილი სხვა გამოყენებების გასაუმჯობესებლად Smart Protect გვიგზავნის პოტენციურად მავნე პროგრამების მოკლე ჩამონათვალს, მათ შორის აპის სახელწოდებასა და მის იმ აქტივობას, რომლის გამოც მოხდა გაფრთხილება, მოწყობილობის შესახებ ძირითად მონაცემებს, როგორცაა მარკა, მოდელი და ოპერაციული სისტემის ვერსია და მოწყობილობის კონფიგურაციის შესახებ მონაცემებს, როგორცაა ენის პარამეტრები, ოპერატორი და ქვეყნის კოდი.

### **Vellamo**

Vellamo არის Android-ზე დაფუძნებული მოწყობილობებისთვის განკუთვნილი ბენჩმარკინგის პროგრამული უზრუნველყოფა („Vellamo“), რომლის მომწოდებელია Qualcomm Innovation Center, Inc. Vellamo ანალიზებს და გაუწყობს იმ მოწყობილობის სისტემის მუშაობის ხარისხს, რომელზეც იგი არის დაინსტალირებული. თქვენ ასევე შეგიძლიათ შეადაროთ თქვენი მოწყობილობის მუშაობის ხარისხი ჩვენ მიერ ტესტირებულ სხვა მოწყობილობებს, რის შემდეგაც თქვენს მოწყობილობას შეუძლია გამოგვიგზავნოს ტესტირების შედეგები და სისტემური ინფორმაცია. ამგვარი სისტემური ინფორმაცია შესაძლოა შეიცავდეს: მოწყობილობის მწარმოებლის სახელს, მოდელსა და ვერსიას; ინფორმაციას თქვენს მოწყობილობაზე არსებული აპარატურის შესახებ, როგორცაა პროცესორი, მეხსიერება და ხელმისაწვდომი სენსორები; ოპერაციული სისტემის ტიპი და ვერსია; ინფორმაციის გამოჩენა; ინტერნეტ პროტოკოლის მისამართი, ბრაუზერის მომხმარებელი აგენტი და ინფორმაცია იმ ფიჭურ ქსელზე, რომელსაც უკავშირდება მოწყობილობა. ჩვენ მიერ შეგროვებულ მონაცემებს ვიყენებთ ამ პოლიტიკაში აღწერილი მიზნებისთვის, მათ შორის თქვენ მიერ მოთხოვნილი მუშაობის ხარისხის ბენჩმეიკინგის სერვისისთვის და მობილური მოწყობილობის მუშაობის ხარისხის შესახებ „რეალური“ სტატისტიკის შედგენისთვის.

### **XTRA – პროგნოზირებული GNSS სატელიტური ორბიტის მონაცემები**

XTRA არის ტექნოლოგია, რომელსაც გთავაზობთ Qualcomm Technologies, Inc. აშშ-ში და QT Technologies Ireland Limited ევროპის ეკონომიკურ ზონაში მობილური მოწყობილობის მუშაობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. XTRA Qualcomm-იდან ჩამოტვირთავს მონაცემთა ფაილს, რომელიც შეიცავს გლობალური ნავიგაციის

სატელიტური სისტემის (GNSS) სატელიტების პროგნოზირებულ ორბიტებს. XTRA მონაცემთა ფაილის გამოყენება ამცირებს დროს, რომელიც მოწყობილობას სჭირდება მისი მდებარეობის გამოსათვლელად და, ამგვარად, ზოგავს დროსა და ელემენტის ენერგიას მდებარეობაზე დაფუძნებული აპლიკაციების გამოყენებისას. XTRA პროგრამული უზრუნველყოფის უახლესი ვერსიაც ასევე ატვირთავს ჩვენთვის მცირე რაოდენობით მონაცემებს. ატვირთულ მონაცემებს ვიყენებთ ამ დებულებაში აღწერილი მიზნებისთვის, როგორცაა სერვისის ხარისხის, უსაფრთხოებისა და მთლიანობის შენარჩუნება და გაუმჯობესება. XTRA ატვირთავს შემდეგი ტიპის მონაცემებს: შემთხვევით გენერირებული უნიკალური ID, ჩიპსეტის სახელწოდება და სერიული ნომერი, XTRA პროგრამული უზრუნველყოფის ვერსია, მობილური ქვეყნის კოდი და ქსელის კოდი (რაც ქვეყნისა და უსადენო ოპერატორის იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა), ოპერაციული სისტემისა და ვერსიის ტიპი, მოწყობილობის მარკა და მოდელი, აპლიკაციის პროცესორისა და მოდემის ბოლო ჩატვირთვიდან გასული დრო და მოწყობილობაში არსებული ჩვენი პროგრამული უზრუნველყოფის სია.